# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**არასამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებით მათი ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე**



**განხორციელების ვადა:** 01.02.2018 - 31.07.2020

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 526 982

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
THE GREENS MOVEMENT OF GEORGIA

**პროექტის ვებსაიტები:** greens.ge/http:/ www.eiagreens.ge

**პროექტის აღწერა:**

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ევროკავშირის პროგრამების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.
ეს პროექტი ერთ-ერთი ინიციატივაა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აძლიერებს, რათა გახდნენ საკუთარი თემების ლიდერები და ადვოკატირება გაუწიონ საჭირო ცვლილებებს.
პროექტი მუშაობს მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში და ადგილობრივ მოსახლეობას გარემოსდაცვით საკითხებზე აწვდის ინფორმაციას. იგი ასევე ავრცელებს ინფორმაციას ევროკავშირის მოთხოვნების შესახებ გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, ახდებს ჯგუფების მობილიზებას ქმეებისთვის, ქმნის ადგილობრივი ორგანიზაციების ქსელს და აძლიერებს მათ შესაძლებლობებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- ევროკავშირის დირექტივების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მხარდაჭერა;
- სოციალური ჯგუფების მობილიზაცია;
- არასამთავრობო/სამოქალაქო ორგანიზაციების ქსელის დაარსება 4 სამიზნე რეგიონში;
- სამოქალაქო ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უნარების შემუშავება/განვითარება.